საქართ. შემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ხუთშაბათი, აგვისტოს 17 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გუშინ და დღეს

დღეს, ჯერ კიდევ გუშინ, საბჭოთა ძალა-უფლების მოწინააღმდეგე პარტიები აწარმოებდნენ ერთგვარ აქტიურ პოლიტიკას არსებული სისტემის წინააღმდეგ.

მართალია არც ერთი ამ პარტიათაგანი იარაღით ხელში გამოსვლას და მაშინვე აჯანყების დაწყების რჩევა-დარიგებას არავის აძლევდა, მაგრამ შესაფერისი დროისათვის „ხალხს" თითქოს ამზადებდნენ.

შესაფერისი დრო კი ამისათვის სულ ახლოს იყო—ერთ კვირაში, შემდეგ ერთ თვეში... კიდევ ერთ კვირაში, ერთ თვეში და ასე... უთვალავ და განუსაზღვრელ კონკრეტულ დღეების აღნიშვნაში მიდიოდა თითქმის წელიწადზე მეტი დრო ჩვენი მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიების მუშაობისა.

მთავარი წყარო პოლიტიკური ილიუზიებისათვის იყო საქართველოს მენშევიკური სახელმწიფოს უცაბედი და მოულოდნელი დამხობა.

ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი ხალხს არწმუნებდნენ არა მარტო თავის საკუთარს ძალების სიმძლავრეზე, არამედ იმ სახელმწიფოთა კავშირის პოლიტიკურ ცხოველმყოფელობაზე, რომელსაც ანტანტა ეწოდება. ანტანტის ძლიერება და რევოლიუციონური ელემენტების სისუსტის მაგალითები ევროპაში ერთნაირის აღფრთოვანებით და კმაყოფილებით აღინიშნებოდა ჩვენი სოციალ-დემოკრატიის მიერ: ანტანტა ჩვენთან არის, რადგანაც ჩვენ ანტანტასთან ვართ იმ ბრძოლის დროს, რომელსაც საერთაშორისო ბურჟუაზია აწარმოებს „აღმოსავლეთის ფანატიკოსების" წინააღმდეგ, ამიტომ ყოველი უბრალო ქართველი მუშა და გლეხი თავს ნუ შეიწუხებს ჩვენის პოლიტიკის რევიზიის გაკეთებით, ჩვენს ყველა ორიენტაციაზე აგებულ ხუხულას წიხლი ჰკრას და ჩაფუშოს.

მართლაც და მენშევიკებმა შესძლეს რამდენიმედ ამ პოლიტიკური ილიუზიის ქართველი ხალხის თავზე მოხვევა.

არ იყო არც ერთი სოციალური კატეგორია საქართველოში, რომელიც მენშევიკების პოლიტიკით კმაყოფილი ყოფილიყო, მაგრამ ამისდა მიუხედავად მენშევიკური მთავრობა განაგრძობდა სახელმწიფოს სათავეში დგომას. საქმე იმაშია, რომ ქართველ ხალხს სჯეროდა თითქმის სოლიდარობა ბურჟუაზიული ევროპისა და „სოციალისტური" საქართველოს მიმდინარე პოლიტიკურ საკითხთა შორის. ამის გამო რაღა თქმა უნდა ნოე რამიშვილის, ამ რკინის მინისტრის სიტყვები მართლაც მას აფრთხობდა და ანგარიშს აწევინებდა მისთვის როგორც რეალური ძალისათვის.

მენშევიკებმა შესძლეს თავისი პოლიტიკური დონკიხოტობის თამაში ანტანტის დახმარებით ხალხისთვის ძალიან მოეჩვენებინათ და ამ გარემოებამ ხალხი შეცდომისაკენ დააქანა.

მენშევიკების „უცაბედი" დამხობა კიდევ იძლეოდა საკვებ მასალას ილიუზიების სასაზრდოებლად. როგორ? მენშევიკური მთავრობის და სახელმწიფოს ერთ თვეში ხელით ფუჭად ქცევა ლოღიკური და რეალ ძალთა განწყობილების გამომხატველი? მაშ რამდენიმე წელიწადი ქართველი ხალხი მხოლოდ ჰიპნოზის ქვეშ იყო?

ეს უეცრად გაგება პირველ ხანებში მასის და მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იზიარებდა მენშევიზმის „საქმიანობას" მის დამხობამდის, უკანასკნელი შემთხვევის შემდეგაც სინამდვილეს მოკლებულად არ მიიჩნევდა მენშევიკების მტკიცებას: ეს პოლიტიკური ფინალი შემთხვევით და მოულოდნელად დაგვატყდა თავს, ანტანტისათვისაც ეს ფაქტი სრულიად მოულოდნელი იყო, თორემ ევროპა ჩვენ როგორ მიგვატოვებდა, ერთ კვირაში, ერთ თვეში ეს გაუგებრობა გაიფანტება და ჩვენ, „აღმოსავლეთის ფანატიკოსებისაგან" განთავისუფლებულნი დასავლეთის ბურჟუაზიის ძალით „ჩვენი რკინის მინისტრებით" კვლავ მოვევლინებით საქართველოს მიწა-წყალს,—იძახოდნენ უბადრუკნი და პორიგებსაც გასავალი აქვს.

ეს იმედები არ გამართლდა; გამოირკვა, რომ დასავლეთის ბურჟუაზია უშუალოდ მენშევიკებისა და საქართველოს ბედით არ ყოფილა იმდენად დაინტერესებული, რომ ამისთვის პატარა ავანტიურაც კი ჩაედინა. გამოსცადა მან ამ ავანტიურის შედეგები რუსეთის ინტერვენციის დროს, რომ ამავე ეკლებით მოფენილ გზას გაჰყოლოდა. და მენშევიკებიც საერთაშორისო უფლებით ეძიებენ თავის დაკარგულ სავარძლებს; ვაშინგტონში ხმის დაძვრა ვერ მოახერხეს, თუმცა მასზე მენშევიკების რაღაცა პორი დიდს იმედებს ამყარებდა; გენუაში მენშევიკებს თავზე ხელი მოუსვეს და გული „მოუფხანეს", მაგრამ ამისგან არაფერი გამოვიდა, ჰააგაზე დიდ იმედებს არც კი ამყარებდნენ და დღეს მენშევიკური ბლოკი დადგა ფატალური რეალობის წინაშე: საით?

შეიძლებოდა ხალხის მოტყუება ვაშინგტონით, გენუით, ჰააგით, მაგრამ აწი ამისთვის რომ ნიადაგი არ არის, ერთის მხრით ხალხი დარწმუნდა, რომ შემთხვევით არ იყო მენშევიკური გაბერილი სახელმწიფოს ერთი [illegible] დამხობა, რომ ძალთა განწყობილების ლოღიკური შედეგი იყო ასეთი პოლიტიკური ვითარება და მეორეს მხრით სავსებით დარწმუნდა იმაში, რომ გაკოტრებული ვაჭარივით ან უძღები მამული აზნაურივით სიმდიდრისა და სიცრუის მეტი არა რა ჰყავს მემარჯვენე კოალიციას დაპირებებში და იმედებში. პორმა დაკარგა ნიადაგი, მაგრამ მეპორეებსაც დაეკარგა პორის მადა. იცით ამისათვისაც ერთგვარი ენერგიაა საჭირო და სადღა იშოვით ამ ძალას, თუ იცით, რომ მისი დახარჯვა უბრალო წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი.

მენშევიკების პოლიტიკური პორიკანობა უმთავრესად ქართველი ხალხის პოლიტიკურს სიბრმავესა და მდგომარეობიდან გაურკვევლობას ემყარებოდა; მაგრამ ხალხი სიზმრებიდან გამოფხიზლდა, სინამდვილეს თვალებს უსწორებს; ბევრი რამ ამ სინამდვილის მას არ მოსწონს, მაგრამ მისი ნაკლი ურჩევნია თუ გინდ უნაკლო ზღაპრებს და სიმთვრალის ილიუზიებს. ნაკლის გასწორება შეიძლება და საჭიროც არის, ეს საქმიანი ხალხის მოვალეობაა, მაგრამ რით შეიძლება ზღაპრული და უნიადაგო პოლიტიკის გასწორება?

მხოლოდ დავიწყებით, უარის არ დაგდებით, ფიქრიდან ამოშლით. და აი, როცა ქართველი ხალხი რეალ პოლიტიკას დაადგა, მენშევიკური ფანტაზიორები გარიყულნი აღმოჩნდნენ, და უნდა თქვას კაცმა, ამ ხალხთან მისვლის მადა ჩვენს მემარჯვენე პარტიებს ჯერ-ჯერობით დაკარგული აქვთ. მემარჯვენეთა პოლიტიკური ბრძოლის უნარი იმდენად დაეცა, რომ იგი წვრილმან და უმნიშვნელო მოვლენებში თუ გამოიხატება. თუ მოკვდა არა მათი მომხრე, თუ გინდ იგი ერის დიდი მოამაგე-მოქირნახულე იყოს, ისინი მას პატივს არ სცემენ, შინ დაჯდებიან და ამგვარი პასიური წვრილმანობით დაკმაყოფილდებიან.

დიდს პოლიტიკურს მიზნებსა და შესაძლებლებს დასცილდნენ გენუას კონფერენციაზე სასტიკი დამარცხების მიღების შემდეგ ჩვენი ვიწრო ნაჭუჭში მოქცეულნი სოციალ-დემოკრატები და ახლა სასოწარკვეთილ გულს წვრილმანი ფაქტებით იკმაყოფილებენ.

მენშევიკების ბრძოლის პირველი წელიწადი მაშინ ხასიათდებოდა აქტივობით. მენშევიკების მოღვაწეობის დღევანდელი ხანა გამოხატავს მათი მომქმედი ძალების სრულს პესიმიზმს და ხალხისაგან მათს დაცილებას.

როგორც კი ხალხმა მოჰკლა პორი, მოკვდა მენშევიკებიც, როგორც კი ხალხმა იწამა სინამდვილის დაღებით—უარყოფითი მოვლენანი, როგორც არსებული და რეალური, მენშევიკ-მემარჯ. დაფედერალისტურ-ნაციონალური ბლოკი ლეშად იქცა. ამ ბლოკის თვალსაჩინო მოღვაწენი დღეს „განდევნილის" მოსამართლეები და მხატვრული ლიტერატურის ხელის მოპოტინებით ირთობენ თავს.

აი რა იყო ჯერ კიდევ გუშინ, და რა სინამდვილეა დღეს ჩვენს წინ. რა იქნება ხვალ?

ჩვენ გვგონია, რომ გახრწნისა და დაშლის პროცესი საბჭოთა ძალა-უფლების მოწინააღმდეგე პარტიათა შორის ლოღიკურ ბოლომდის მიაღწევს და იმდენად ჩქარა დასრულდება ეს დეკადანსი, რამდენადაც ჩვენი სახელმწიფოს მესვეურნი ფრთხილად გადასჭრიან ეროვნულ საკითხს, რომელიც ჯერ კიდევ მემარჯვენეთა მონოპოლიისაგან სავსებით ვერ გაგვითავისუფლებია.

შესაძლებელია შეიქმნეს საერთაშორისო ძალთა ურთიერთობაში ისეთი საბაბი, რომელმაც კვლავ დაკარგული იმედის აღდგენა—გაღვიძების სურვილი აღუძრას მენშევიკურს ბლოკს, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ სურვილი და მას არ ეყოლება გამნაღდებელი. საჭიროა ხალხი ერთხელ ჩამოსცილდეს რომელიმე ჯგუფს თუ პარტიას, რომ იმას იგი ისე ადვილად არ დაუბრუნდეს.

ჩვენ განმეორებით ვამბობთ, რომ ეს შესაძლოებაც, ეს იმედიც არ დაიბადება, თუ ხალხს მოვსცემთ მალამოს იმ ეროვნულს ტკივილზე, რომელიც ჯერ სავსებით არც დღეს აქვს მოშუშებული; და ზოგიერთი პოლიტიკის უტაქტო და პირდაპირ ჩვენი სახელმწიფოებრიობის საწინააღმდეგო გამოსვლებით ხელს უშლის ამ ბუნებრივ პროცესს.

დიახ, ჩვენ ვიყვეთ მენშევიკების მესაფლავენი აღდგენილ ქართველ ხალხთან ერთად! ამით ჩვენ დავასრულებთ ქართველი ხალხის განვითარების საფეხურს.

## პოლიტიკის რევიზია და შეთანხმების საჭიროება

3.

**ქართველი ხალხის იდეფიქსი.**

რუსეთის რევოლიუციის მნიშვნელობისა და ჩვენი ეროვნული ენერგიის შემდეგ, საჭიროა გავითვალისწინოთ ქართველი ხალხის იდეფიქსი.

წინა წერილებში ჩვენ მოვიყვანეთ მთელი რიგი მოსაზრებანი, რომელის მიხედვით საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს რუსეთის რევოლიუციის ორიენტაციას, მაგრამ საკითხავია რას ეძებს ქართველი ხალხი და რა სურს მას? რისთვის იბრძოდა და რისთვის უნდა იბრძოლოს მან? რა მიზანს ისახავს იგი?

ჩვენი ქვეყნის ისტორიული ვითარება და განსაკუთრებით გასული საუკუნის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება, საფუძველი იყო საქართველოს გაპიროვნებისა, მისი იდეფიქსად გახდომისა.

დღეს, ვისაც შესწევს უნარი ხალხის სულისკვეთების გაგებისა და [illegible] სამი მაინც დარჩენია, მან უწყის თუ რამდენად ძლიერია ფართო მასაში ეროვნული გრძნობა და რამდენი მსხვერპლის გაღება შეუძლია ჩვენ ხალხს ეროვნულ იდეისათვის. დღეს ქართველი მუშა ხელფასის სიმცირის გამო კი არ არის აღშფოთებული, ქართველ გლეხს მარტო მიწის მიღება კი არ აჩარებს, ქართველ ინტელიგენტს მარტო მისი ინტელიგენტური საქმე კი არ აკმაყოფილებს. ყველა ერთად გაფაციცებით და დიდის დაკვირვებით თვალყურს ადევნებს ეროვნული პოლიტიკის სფეროს. მას აღელვებს და აშფოთებს უფრო სამშობლო ენის შევიწროება, ვიდრე რაიმე სოციალური საკითხის მის ინტერესთა წინააღმდეგ გადაჭრა. და ეს ბუნებრივიც არის.

ჩვენში, სადაც კაპიტალიზმის პრიმიტიული ხასიათის გამო [illegible] არ გვინახავს თანამედროვე ქარხნის მექანიზმი, სადაც ჰაერი ერთხელაც არ გამშრალა ნახშირის კომლით და საშუალო საუკუნოების მსგავსად უმანკოთ არის შენახული იგი, ცხადია ჩვენში ადგილი არ ექნება და არც აქვს კლასობრივ სხვაობის მაღალ საფეხურს სოციალ ჯგუფთა ისეთ იერარქიას, რომლითაც ხასიათდება ტიპიური კაპიტალისტური საზოგადოება. ეს მოვლენა თავისებურ სახეს აძლევს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას და ქმნის პირობებს სოციალური ანტაგონიზმის სისუსტისას.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს ჩვენში მუშათა კლასს არ უჭირავს [illegible], რადგან ბრძოლის ველზე არ სჩანს მოწინააღმდეგის აჩრდილიც კი. ფეოდალიზმის ნაშთი—არისტოკრატიის დეგრადაცია ფაქტია, ხოლო კაპიტალიზმის პირმშო შვილი—ბურჟუაზიის გრადაცია ჯერ არ მომხდარა.

თუ ასეთია სოციალური ანტაგონიზმის პირობები ჩვენში, ასეთი არ არის ეროვნული ანტაგონიზმის პირობები. მე 19 საუკუნე საკმაო იყო, რომ ჩვენ, როგორც კულტურულ ერს, გაგვეცადა მთელი სიმწვავე ეროვნული მონობის.

ამის გამო იყო, რომ ყოველ გამოკრთობას სოციალური ყოფისა, ამ საუკუნის განსწვრივ, აზის დამონებული ერის გაბრძოლების ბექვდი დამმონებელთა წინააღმდეგ.

ეს ეროვნული ენერგიის მიმართება, საუკუნოებით შეზრდილი უკვე რუსეთის რევოლიუციის საშუალებით; აღმართავს ეროვნულ დროშას და თავისუფლებას მოწყურებული ხალხი პოლიტიკურად მიუძღვებულ ძალასაც—მენშევიზმსაც კი იღებს, რადგან იგი ისტორიული შემთხვევების გამო გამოდის ამ დროშით ხელში.

მთელი სიმწვავე და სიმძიმე საბჭოთა წყობილების დამყარებისა ჩვენში ამ მომენტის სიძლიერით აიხსნება. ქართველი ხალხი, სრულიად სამართლიანად, ვერ ურიგდება თავის ეროვნულ უფლებათა შევიწროებას და ვისაც მაღლა არ უპყრავს ხელში ეროვნული დროშა, იგი ვერ ნდობს მას თავის პოლიტიკურ მესაჭეობას.

დღეს ჩვენ არ გვინდა ვილაპარაკოთ ეროვნულ პრობლემის სოციოლოგიურ საფუძვლებზე. ჩვენ ამ შემთხვევაში არც ის გვაინტერესებს, თუ სოციალური ცხოვრების პროცესი რას გვეტყვის შორეულ მომავალში. ამის შესახებ დღეს ჩვენ აღარ ვლაპარაკობთ, რადგან „საკითხი უდროესად პოლიტიკურ ნიადაგზე სდგას.

რას მოვითხოვთ ჩვენ ყოველ ძალისაგან?

რა უნდა მომცეს ჩვენ არსებულმა წყობილებამ? მეტად მცირე და ელემენტარი რამ—ქართული ენის სახელმწიფოს უფლებრივი ფუნქციების მკაცრად დაცვა. აი ზოგადი დებულება, რომელიც კონკრეტ სინამდვილეში რეალიზაციის დროს სავსებით დააკმაყოფილებს ქართველი ხალხის უდიდეს უმრავლესობას.

მოგვეცით ჩვენ ისეთი პოლიტიკა, რომელიც მოგვცემს საქართველოს მთლიანს პოლიტიკურად, მტკიცეს სახელმწიფოებრივად, გამაგრებულს კულტურულად და გამტკიცებულს ეკონომიურად—ჩვენ მოგცემთ მთელ ჩვენ ძალას, მთელ ჩვენ შეძლებას, მთელს ენერგიას სახელმწიფოებრივი მუშაობისათვის. ჩვენ მეტსაც გავიღებთ—ჩვენით დავხშავთ საკუთარ აზრს, დავსწვავთ ჩვენს თეორიას, არარად ვაქცევთ ჩვენ პოლიტიკურ თავმოყვარეობას.

ასეთია ჩვენი ურთიერთობა საქართველოსთან და ეს არც პარტიკულარიზმის სფეროა და არც შოვინიზმის ბუდე.

ჩვენ სხვის ენას არ ვდევნით—ჩვენსას ვიცავთ, სხვის მიწა-წყალს არ ვიტაცებთ—ჩვენსას ვდარაჯობთ, სხვის უფლებებს არ ვარღვევთ,—ჩვენი უფლებების დაცვას მოვითხოვთ, ეს არის ჩვენი შემოქმედების მთავარი მიზანი, ჩვენი მოღვაწეობის იდეფიქსი.

ასეთია ქართველი ხალხის მოქმედების უმთავრესი მიზანი.

ეს მოვლენა თავის თავად დადებითია. ამის წინააღმდეგ თუ გუშინ ვინმეს შეეძლო ლაპარაკი და კოსმოპოლიტიური ფრაზეოლოგიით საკითხის მიჩქმალვა, დღეს ეს არავის შეუძლია. ეროვნება მთავარი ფაქტორი ხდება სოციალური გარდაქმნის პროცესში და ამ მხრით მესამე ინტერნაციონალის გზა არსებითად განსხვავდება ძველი მარქსისტული გზისაგან, რომელიც ატომისტური თვალსაზრისით ცენტრალიზმს აყენებდა და ეროვნებას და ეროვნული პრობლემის გადაჭრას ყურადღებას არ აქცევდა.

ბოლშევიკებმა ეროვნული საკითხი რადიკალურად დააყენეს და იგი სოციალისტური თვალსაზრისით სათანადოთ გადასჭრეს. ლენინი, ზინოვიევი, სტალინი და სხ. ფედერაციის პრინციპს ატარებენ თავის შრომებში. მართალია მათთვის ფედერაცია ტაქტიკური საკითხია რევოლიუციის პროცესში, მაგრამ თუ კი იგი რეალურად განადდებული იქნება, სინამდვილეში ეს შესაძლებელს გახდის განაპირა ქვეყნების სოციალისტთა თანამშრომლობას კომუნისტურ პარტიასთან.

ჩვენში 1918 წლის 26 მაისამდე არც ერთი სოციალისტური პარტია არ იდგა სეპარაციის ნიადაგზე და ფედერაცია იყო უმაღლესი მოთხოვნა ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგებისათვის. ობიექტიური პირობების გამო მაშინ ფედერაციის განხორციელება შეუძლებელი გახდა, რადგან სხვა და სხვა გზით მიდიოდა ამიერ-კავკასიის ერთა ორიენტაცია. დღეს ფედერაციის ნიადაგს უნდა დაუბრუნდეს ჩვენში არსებული პოლიტიკური პარტიები, რადგან ამისათვის ყოველი პირობა მზად არის. სხვა საქმეა, თუ რა სახეს იღებს ფედერაცია სინამდვილეში, რომლის შესახებ ჩვენ შევეცდებით მორიგ წერილში ვისაუბროთ.

ეროვნული საკითხი, ჯადოსნური თვისებით არის შემკული. მისი თავიდან მოშორება შეუძლებელია. შესაძლებელია იგი უარყო თეორიულად, შესაძლებელია იგი ილიუზიად გამოაცხადო, როგორც ამას შვრებოდა რუგე და სხვა, მაგრამ იგი კაბინეტის კარების მოაჯირთან დაგხვდება, როდესაც კაბინეტის კარებისაკენ ფეხს გადადგამ-თვალწინ აგეტუზება, როდესაც თეორიული ნაშრომის „ფურცლებს თვალს მოაშორებ. „კაპიტალის" ავტორის მაგარი ნერვებიც ვერ უძლებდა გერმანელთა შეურაცხყოფას, მიუხედავად მისი კოსმოპოლიტური კონცეპციისა.

ეროვნული საკითხის თვისება კიდევ იმაშიაც მდგომარეობს, რომ აქ საკითხის გადაჭრა და მისი სტიმული მშრალი ფორმულები კი არ არის, არამედ ცოცხალი ადამიანების იდეალი, გრძნობა, მოქმედება და მოღვაწეობა.

თუ საერთოდ უფლებრივი, ზნეობრივი და სოციალური თეორიები ატარებენ ადამიანთა რწმენის, შეგნების და გრძნობის ნიშანს, კერძოდ ეროვნული საკითხი, განსაკუთრებულ დამონებული ერის ფსიქოლოგიაში, ამ მომენტების ძლიერი გავლენის ქვეშ სდგას.

ერთი მხრით საქართველოს იდეფიქსად გახდომა ქართველი ხალხისათვის და მეორე მხრით ჩვენში შექმნილი მდგომარეობა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ვისაც სურს საქართველოში მმართველობა და არა ბატონობა, იგი მოვალეა ანგარიში გაუწიოს ქართველი ხალხის სამართლიან მოთხოვნებს და მაქსიმალურად დააკმაყოფილოს იგი. აქვს კი ანალოგიური მოვლენას ადგილი

ჩვენს ცხოვრებაში? დამკვიდრდება მომხრეები ამ მხრივ ხელისუფლების პოლიტიკაზე. არის მკაცრად დაცული ეროვნული თავისუფლების ელემენტარი მოთხოვნები და სახელმწიფოს ატრიბუტები? რომელ მიმართებაშია არსებული მდგომარეობა ქართველი ხალხის იდეოლოგიის მიმართ?

ამაზე შემდეგ.

ხერ. ამალლობელი.

# ლონდონის თათბირი

### უკანასკნელი სხდომა

**ნაუენი** 15 აგვისტო. როგორც ფიქრობენ ლონდონის თათბირის უკანასკნელი სხდომა მოხდება ორშაბათს 14 აგვისტოს. დიდი ეჭვები არსებობს იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იქნება კომპრომისის გამონახვა ორ შესაძლებლობათა შორის ან მისცენ გერმანიას მოკლე ვადიანი მორატორიუმი და მოიწვიონ ახალი თათბირი ნოემბერში. ან არა და ოფიციალურად აღიარონ მოკავშირეთა შორის შეთანხმების შეუძლებლობა შეთანხმების ხელს უშლის გერმანიის ტყეებისა და მაღაროების საკითხი.

### შეთანხმება არ მოხერხდა.

**ბორდო.** 15 აგვისტო. 14 აგვისტოს გაიმართა თათბირი ლლოიდ-ჯორჯის, პუანკარეს, ფენისის, შანტერის და ბარონ გაიაშის, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი მორატორიუმის შესახებ შეთანხმების მოხდენის გზების გამოსანახავად შეთანხმება არ მოხერხდა. დელეგაციის მეთაურები იხილავდენ საკითხს გადაწყვეტილებათა სამი თვის ვადით გადადების შესახებ, გერმანიისათვის ეხლავ მორატორიუმის მიცემით პუანკარემ ოფიციალურად განაცხადა პროტესტი გერმანიისათვის მორატორიუმის მიცემის შესახებ, თუ არ იქნება წარმოდგენილი სათანადო გარანტიები. რადგანაც შეთანხმება არ მოუხერხდა, დელეგატებმა განაცხადეს, რომ ჯერ კიდევ განიხილავენ ამ საკითხს. მაგრამ უკვე ეხლაც ცხადია, რომ თათბირი გათავდება ისე, რომ შეთანხმება არ მოხდება გერმანიისათვის მორატორიუმის მიცემის საკითხის შესახებ.

### ავსტრიის დახმარება.

**ბორდო.** 15 აგვისტო. 14 აგვისტოს ლლოიდ-ჯორჯს ქონდა თათბირი მოკავშირეთა მინისტრებთან ავსტრიისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

### პრესა თათბირის შესახებ.

**ბორდო.** 15 აგვისტო. ლონდონის თათბირი კალავ იქცევს პრესის ყურადღებას. გაზეთები ამბობენ, რომ დადგენილებათა გამოტანა გადადება სრულებითაც არ არის გამოწვეული აუცილებლობით, რადგანაც ის პირობები, რომლითაც მომდინარეობს ამ საკითხების განხილვა, სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შეხედულების იქნება ამერიკა მოკავშირეთა ვალების შესახებ. ამიტომ დადგენილებათა მიღების გადადება მხოლოდ უხერხულობას დაბადებს ამასთან გაზეთები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ ამერიკის შეხედულობის შეცვლა მოკავშირეთა ვალების შესახებ, ალბად არ მოხდება არჩევნებამდე, რომელიც დაიწყება 4 ნოემბერს. გაზეთებისავე აზრით, ლლოიდ ჯორჯის თეზისები მორატორიუმის უზრუნველყოფის შესახებ მიუღებელია და ამ საკითხის განხილვა სავსებით იმაზეა დამოკიდებული წავლენ თუ არა მაქსიმუმ დათმობებზე პუანკარე და ლლოიდ-ჯორჯი,

### ორი თვე არ არის საკმარისი.

**ბორდო** 15 აგვისტო. გაზ. „ბერლინერ მონტამ პოსტის" აზრით გერმანიისათვის ორი თვის ვადიანი მორატორიუმი საკმარისი არ იქნება.

### ვერ შეთანხმდენ

**კროიდონი** 15 აგვისტო' გუშინ დამთავრდა ლონდონის თათბირი, რომელზედაც ვერავითარი შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ლლოიდ-ჯორჯმა თავის სიტყვაში განაცხადა: „მე შიშით უცქერი იმას, რომ ჩვენ გვიხდება შეუძლებელის მიღება".

# გერმანიის ამბები

### ვის ასახლებენ ისინი?

**ჰანოვერი.** 15 აგვ. გამორკვეულია, რომ იმ 500 ოჯახიდან, რომელსაც მოკავშირეები ასახლებენ ელზას-ლოტარინგიიდან დიდი ნაწილი მშრომელთა კლასს ეკუთვნის. მათ შორის ბევრი კელნერშები მუშა-ქალები და კანტორის მოსამსახურეები არიან. ზოგი მათგანი 40 წელიწადზე მეტი სცხოვრობდენ ელზას-ლოტარინგიაში. თვით გადასახლება დიდი სიმკაცრით სწარმოებს.

### კენიხბერგის ბაზრობაზე

**ჰანოვერი.** 15 აგვ. კენისბერგის ბაზრობაზე პირველად გაიხსნა რუსული განყოფილება.

### შენობების შემცირება

**ჰანოვერი.** 15 აგვისტო. საზოგადოება „შტინეს—რეინ-ელბე—შუკერტი" იძულებულია 60 პროცენტით შეამციროს განზრახული შენობების რიცხვი, ნედლი მასალის კერძოდ საამშენებლო მასალების გაძვირების გამო.

### გადასახლებულთა ჩამოსვლა

**რომი.** 15 აგვ. ელზას-ლოტარინგიიდან გადმოსახლებულ გერმანელებს გერმანიის საზღვრებზე მანიფესტაციებით ხვდებიან.

### ბავარიის შეგრაზმედლები

**ბორდო.** 15 აგვ. გაზ. „ფრეიხეტის" ცნობით ბავარიის 15 ქვეითა პოლკის ყოფილმა ოფიცრებმა კვირას ნიურბერგში გამართეს რაუტი პრინც ეშერტის თანადასწრებით. რაუტის შემდეგ გამართა რეიხსვერის ადლუმი, რომლის ნაწილებმა საპატივცემლო მარშით გაიარეს პრინცის წინ.

# უცხოეთი

### გაფიცვები ლეიპციგში.

**მოსკოვი.** აგვისტოს 15-ს ლეიპციგში 6 კვირაა გრძელდება კელნერების გაფიცვები. მუშების შტრეიხბრეხერების წინააღმდეგ გამოსვლების გამო მოხდა პოლიციასთან შეტაკება.

### რეპარაციები.

**მოსკოვი.** აგვისტოს 15-ს პუანკარეს მოლაპარაკება ლოიდ-ჯორჯთან გათავდა. კერძო შეთანხმება რომელიც იხრება იქითკენ რომ გერმანიას არ მიეცეს მორატორიუმი სათანადო გარანტიების გარეშე.

საფრანგეთის პრესა სიამოვნებით აღნიშნავს ლონდონის კონფერენციაზე მძიმე ატმოსფერის შემსუბუქებას და ფიქრობს, რომ შეთანხმების საფუძველი განმტკიცებულია. პრესა დაჟინებით მოითხოვს კომპენსანციების აუცილებლობას მორატორიუმისათვის, რომელიც უნდა მიენიჭოს გერმანიას.

### ელზას-ლოტარინგიაში

**მოსკოვი.** აგვისტოს 15-ს გერმანიის მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას მიმართა ნოტათი, რომელშიაც გერმანიის მთავრობა მიუთითებს იმ საგანგებო ზომებზე, რომელიც მიღებულია საფრანგეთის მთავრობის მიერ ელზას-ლოტარინგიაში. გერმანიის მთავრობის აზრით, ეს ზომები არღვევენ ვერსალის ხელშეკრულებას, და ამიტომ გერმანიის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს სანქციების გაუქმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იძულებული იქნება მიმართოს საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს.

### პოლონეთი და ჩეხო სლოვაკია.

**მოსკოვი.** აგვისტოს 15-ს გაზ. „კურიერი პორანი" იტყობინება, რომ ამ უკანასკნელ ხანებში, პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკიის ურთიერთობა მწვავდება, პოლონელები უსაყვედურებენ არავის იმ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის რომელიც მიიღო ჩეხოსლოვაკიამ საზღვრების სადავო საკითხის შესახებ.

### ფინეთი და რუსეთი.

**მოსკოვი.** 15 აგვისტო. ჰელსინგფორსში დაიდო ხელშეკრულება რუსეთსა და ფინეთის შორის გემის გაცვლა-გამოცვლის შესახებ. შეთანხმების ძალით რუსეთმა უნდა მიიღოს 169 დიდი და პატარა გემები.

### საფრანგეთის მემამულეთა შორის.

**მოსკოვი.** 15 აგვისტო. ჩრდილოეთ საფრანგეთის მემამულეთა ყრილობამ უარყო მწარმოებელთა მოთხოვნილება ხელფასის შემცირებისა და სამუშაო დღის გადიდების შესახებ. მოსალოდნელია გაფიცვების გამოცხადება.

### იტალიის პარლამენტში

**მოსკოვი.** 15 აგვისტო. მთავრობის დეკლარაციის გამო პარლამენტში გამართულ კამათის დროს კომუნისტმა-დეპუტატმა დენოსიმ წაიკითხა დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ კომპარტია [illegible] საერთო გაფიცვის [illegible] პარტია [illegible] შეკავშირებისა და [illegible], რათა საბოლოოდ დამარცხებული იქნას დახავსებული ბურჟუაზიული წეს-წყობილება, რომლის დაცვა არ შეუძლიათ ფაშისტების ბანდებს. დენოსის სიტყვამ დიდი აღშფოთება გამოიწვია პალატაში ფაშისტები, რომელნიც ემუქრებოდენ ორატორს მოკვლას, განიარაღებულ იქნენ. სხდომა შეწყვეტილი იქნა.

### ნორდქლიფის გარდაცვალება

**რომი.** 15 აგვ. ლონდონში გარდაიცვალა ნორდქლიფი, რომელიც იყო გაზ. „ტაიმსის" და სხვა გაზეთების და ჟურნალების მეპატრონე.

### ირლანდიის პრეზიდენტის გარდაცვალება.

**რომი.** 15 აგვ. შაბათს უეცრად გარდაიცვალა დუბლინის სამხედრო საავადმყოფოში ირლანდიის პრეზიდენტი გრიფიტი. გირიფი—მეფემ დეპეშით აცნობა მწუხარება დაქვრივებულის ქვრივი.

### საფრანგეთის დელეგაციის გამგზავრება

**ბორდო** 15 აგვ. 15 აგვისტო. საფრანგეთის დელეგაცია გაემგზავრება ლონდონიდან.

### კაბინეტის სხდომა.

**ბორდო** 15 აგვ. 14 აგვისტოს გაიმართა ინგლისის კაბინეტის სხდომა.

### ქ. დიწშენფეტი ხელახლა აიღეს აჯანყებულებმა

**ბორდო** 15 აგვ. ქ. დიწშენფეტი ხელახლა აიღეს აჯანყებულებმა. ქალაქის აღების შემდეგ აჯანყებულებმა გაანთავისუფლეს დაპატიმრებულნი.

# ახალი ამბები

**კომუნალურ სააღმშენებლო ბანკი.** ქალაქის აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგის ამხ. თედო ღლონტის თავმჯდომარეობით შესდგა სხდომა განსაკუთრებული კომისიის, რომელსაც დაესწრო სახ. ბანკის გამგე ი. ლორთქიფანიძე და საბანკო საქმის სხვა მცოდნენი. განხილულ იქმნა კომუნალურ სააღმშენებლო ბანკის პროექტი წარმოდგენილი ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგის ამხ. ლ. ტი-

# დამოუკიდებელ პარტიის პოლიტიკის გარემო

(დოგმატიური სოციალიზმის კრიზისი.)

2

შეუძლებელია გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის დღევანდელი პოლიტიკური ნაბიჯი მენშევიკებთან გაერთიანებისა და ამით ბურჟუაზიასთან ბლოკში შესვლის შესახებ, რაიმე დიდი პოლიტიკური გარემოებით ავხსნათ. მართალია გერმანია დღეს დიდ კრიზისს განიცდის და კრიტიკულია მისი მდგომარეობა როგორც საგარეო პოლიტიკაში, ისე შინაურ სოციალურ ძალთა დაპირისპირების გამო, მაგრამ ეს გარემოება არ იწვევს და ამით ვერც ავხსნით რევოლიუციონურ პარტიების კაპიტულიაციას ბურჟუაზიის წინაშე. დამოუკიდებლებს სწორეთ რევოლიუციონერებათ მოჰქონდათ თავი და ძლიერ ხშირად თავიანთ რევოლიუციონურს პოლიტიკას კომუნისტების პოლიტიკაზე მაღლა აყენებდნენ. შეიძლება პოლიტიკური მომენტი მოითხოვდეს უფრო ზომიერი ტაქტიკის წარმოებასა და დროებით ხელის აღებას რევოლიუციონურს გამოსვლებზედ პოლიტიკური ძალა-უფლების დასაპყრობად, ეს დამოკიდებულია ობიექტიურს გარემოებაზედ და პოლიტიკურს პირობებზედ, აგრეთვე საკუთარ ძალების მომზადებაზე,—მაგრამ ასეთი ტაქტიკის გატარება და დროებით საამოქმედო გეზის მდგომარეობასთან შეფარდება, სრულებით არ ნიშნავს თავის არსებობაზე ხელის აღებასა და ვისიმე წინაშე კაპიტულიაციას. დამოუკიდებელმა პარტიამ კი თავისი უკანასკნელი ნაბიჯით სწორედ ხელი აიღო თავის არსებობაზე და პოლიტიკურად კაპიტულიაციის აქტი მოახდინა რეფორმისტების წინაშე. ამით მან მხოლოდ ერთი რამ სთქვა: დამოუკიდებელ პარტიას ზედმეტად მიაჩნია თავისი არსებობა და მიზანშეუწონლად მთელი თავისი პროგრამა.

რამ გამოიწვია ასეთი თვითმკვლელობა? პოლიტიკურმა გარემოებამ? სრულებითაც არა. ეს გარემოება მხოლოდ საბაბი იყო, გარეგნული ფორმალი მიზეზი. მთავარი წყარო ასეთი დიდი ცვალებადობისა თვით პარტიის შიგნით უნდა ვეძიოთ, მის პროგრამასა და იდეოლოგიურს საფუძვლებში უნდა დავეძებდეთ. ამ პარტიის მრწამსმა, მისმა შინაგანმა შეგნებამ მიიყვანა დამოუკიდებელნი თვით ლიკვიდაციამდე.

როგორც საერთაშორისო ომი არ იყო მთავარი მიზეზი მეორე ინტერნაციონალის დარღვევისა, არამედ მხოლოდ გარეგანი საბაბი, რომელმაც გამოააშკარავა ამ ორგანიზაციის შინაგანი ავადმყოფობა,—ისე დღევანდელი გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობა არ არის მთავარი მიზეზი დამოუკიდებელთა თვითმკვლელობისა. ის მხოლოდ გარეგანი საბაბია, რომელმაც ამ პარტიის სნეულება ბოლომდე დაიყვანა და ნათელი გახადა მისი მისწრაფებანი.

ამიტომ თუ გვინდა ჩვენ გავიგოთ მთავარი მიზეზი დამოუკიდებელთა ასეთი ნაბიჯისა, უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ პარტიის იდეოლოგიურს მხარეებს, მათი პროგრამის საფუძვლებსა და მათი სიტყვასა და საქმიანობას, მათს არსებულ დამოკიდებულებას.

დამოუკიდებელთა პარტია ხუთი წლის წინად გამოეყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიას და ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი პარტია, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ლოგიკურს დასკვნამდე დაყვანა იმ წინააღმდეგობისა, რომელიც არსებობდა ძველს სოც.-დემოკრატიულს ორგანიზაციაში სხვა და სხვა ფრთებს შორის.

დამოუკიდებელნი გაიზარდნენ და მოქმედობდნენ მრავალი წლის განმავლობაში გერმანიის სოციალ დემოკრატიულს პარტიაში და აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იმამდე მათ ეპყრათ ხელში ამ პარტიის ორგანიზაციები უმთავრესად.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულს პარტიაში ისე, როგორც მთელს მეორე ინტერნაციონალში, ერთი მეორეს ებრძოდა სამი უმთავრესი მიმდინარეობა: რევიზიონისტები, ცენტრი და ოპოზიციონერები. რევიზიონიზმი და მემარცხენე ფრთა ძლიერ მცირე ნაწილს შეადგენდნენ პარტიაში პირველ ხანებში და მთელი ძალა-უფლება ხელში ეპყრა ცენტრს. რევიზიონიზმი განსაკუთრებით აღმოცენდა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულებში და უფრო თეორიული ხასიათის მუშაობას აწარმოებდა, რაც შეეხება მემარცხენე ფრთას, ის იმდენად სუსტი იყო, რომ თითქმის ვერავითარს დაღს ვერ აჩნევდა მთელი პარტიის მიმდინარეობას. ამგვარად პარტიის სულის ჩამდგმელი და მისი იდეური ხელმძღვანელი თავიდანვე შეიქმნა ცენტრი. ის მთელი თავისი ენერგიით იმიჯნებოდა როგორც მარჯვნით—რევიზიონისტებისაგან, ისე მარცხნით—ოპოზიციონერებისაგან (რადიკალებისაგან). რევიზიონისტების მთელი ყურადღება მიქცეული იყო თეორიულ საკითხებისაკენ და მარქსიზმის მეცნიერული დებულებების შესწორებით, გადასინჯვით სურდათ მათ ერთგვარი წონასწორობა დაემყარებინათ თეორიასა და პრაქტიკას შორის. მაგრამ პარტიულმა ცენტრმა ისინი მაგარი სალტეებით შებორკა და ყოველ ფეხის გადადგმაზე გამარჯვებას ღლესასწაულობდა. 1903 წ. დრეზდენის პარტიეტაგზე ბებელმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ რევიზიონიზმი ვერასოდეს ვერ ეღირსება გამარჯვებას გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში, მეორე გენერალისიმუსმა კარლოს კაუცკიმ დაცინვით აღნიშნა, რომ,—რევიზიონიზმი „მხოლოდ პოლიტიკურს კუნსტკამერებში სცხოვრობს".

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული ბელადების ასეთი განცხადებანი ნათლად ამჟღავნებდა იმ ყოფას, რომელსაც განიცდიდენ რევიზიონისტები, პარტიაში მათი შეგნებით. მაგრამ ეს იყო მხოლოდ სიტყვიერი განცხადება და მხოლოდ რევიზიონიზმის თეორიულ მხარეებს შეეხებოდა. ფაქტიურად რევიზიონიზმა დიდი გამარჯვება მოიპოვა გერმანიის სოც.-დემოკრატიაში და ეს პარტია ორივე ფეხებით რეფორმიზმის ნიადაგზედ იდგა.

მემარჯვენე რევიზიონიზმი—ეს მეცნიერული დასაბუთება არის რეფორმიზმისა და ოპორტუნიზმის. ლეგალიზმი, პარლამენტარიზმი, შეგუება კაპიტალიზმთან და უარყოფა რევოლიუციონური აქტივიზმისა,—აი საფუძვლები რევიზიონიზმის პრაქტიკული ფილოსოფიისა. რევიზიონიზმი მთელი თავისი არსებით დასდგა პარლამენტარულ ევოლიუციონიზმის ნიადაგზედ და რეფორმისტული გზით ცდილობდა სოციალიზმის განხორციელებას; ამ პრაქტიკულ გზიდან განდევნილი იყო რევოლიუციონური აქტივიზმის პოლიტიკა, პროლეტარიატის შეიარაღებული გამოსვლა და ამ საშუალებით პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობა.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დიდმა უმეტესობამ თავიანთი ბელადების პირით თავიდანვე უარყვეს რევიზიონიზმი თეორიულად, პრაქტიკულად—ეს პარტია რევიზიონისტების პოლიტიკას ატარებდა და არასოდეს არ გასცილებია რეფორმისტული პოლიტიკის გზას. გერმანიის სოციალ-დემოკრატია, თეორიულად რევოლიუციონურს ნიადაგზედ იდგა, სიტყვიერად პროლეტარიატის აქტივიზმს ქადაგებდა, პრაქტიკულად კი მთელი თავისი სიმძიმით პარლამენტარიზმის ნიადაგზედ იდგა და არც ერთხელ არ მიუმართავს რევოლიუციონური საშუალებისათვის; საქმით გერმანიის მთელი პარტია ლეგალიზმის ჭაობში იყო ჩაფლული და ყოველ დღეს კითხვებით ირთობდა თავს: ბრძოლა სოციალიზმისა და რევოლიუციის განსავითარებლად არ შეადგენდა ამ პარტიის მთავარ საზრუნავსა და მორიგ საკითხს. ამ გარემოებამ თავის თავად მოგვცა თავისი შესაფერისი ლოგიკური დასკვნა: ბოლოს და ბოლოს პარტიამ მოიხსნა გარეგანი მანტია თეორიული რევოლიუციონიზმისა და მთელი თავისი არსებით დასდგა რეფორმიზმის ნიადაგზედ: ეს იყო უდიდესი გამარჯვება რევიზიონიზმისა, მთელი მათი მრწამსის კეთილად დაგვირგვინება. ამით არ გამართლდა ბებელის წინასწარმეტყველება, რომ რევიზიონიზმი ვერასოდეს ვერ ეღირსება გამარჯვებას გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში, და ფაქტიურმა მდგომარეობამ დაამტკიცა, რომ პოლიტიკურს კუნსტკამერებში ცენტრისტებს დასჭირდათ ცხოვრება.

ჯერ კიდევ ამსტერდამის კონგრესზე 1904 წელში ჟან ჟორესი დიდი ბრალდებით გამოვიდა გერმანიის სოციალ-დემოკრატების მიმართ და აღნიშნა მისი უარყოფითი მხარეები.

„ის, რაც ყველაზე უფრო მძიმე ტვირთად აწევს ევროპასა და მთელს კაცობრიობას,—ამბობდა ჟორესი,—რაც ეწინააღმდეგება მშვიდობიანობის შენარჩუნების გზას, პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველყოფას, სოციალიზმის ზრდასა და მუშათა კლასის გავლენას, რაც აფერხებს ევროპისა და მთელი ქვეყნის პოლიტიკურსა და სოციალურს პროგრესს—ეს არის პოლიტიკური უძლურება გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა: მან არ იცის არც რევოლიუციონური, არც პარლამენტარული მოღვაწეობა". ჟორესის წინასწარმეტყველება უკომენტარიოდ გამართლდა და თუ ვინმემ შეაფერხა ევროპის წარმატება და პროგრესი, ამაში დიდი ბრალი მიუძღვის გერმანიის სოციალ-დემოკრატიას. ბრალდება ჟორესისა სწორი და მართალი იყო თავიდან ბოლომდე და ეს ნათელი შეიქმნა განსაკუთრებით ამ პარტიის შემდეგი მოქმედებით. მრავალ მილიონიანმა, მტკიცეთ შეკავშირებულმა პარტიამ ვერავითარი აქტიური როლი ვერ ითამაშა საერთაშორისო ომის დროს და თვით დასდგა გერმანული იმპერიალიზმის მხარეზე მოწინააღმდეგე მხარის გასანადგურებლად, ამით მან აიხადა ნიღაბი და სავსებით დადასტურა პროგრესის ბრალდების მეხლები.

რანობის მიერ. აზრთა გაცვლა-გაცვლის შემდეგ დადგენილ იქნა, რომ ბანკის ძირითადი კაპიტალისათვის გარდა დასაგირავებ ფურცლებისა გამოშვებულ იქნეს აქციები. პროექტის გადასამუშავებლად და დასამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია, რომელშიაც შედის ი. ლორთქიფანიძე, ტიგრანოვი და ბასილია.

— **ვეტერინალური საქმე.** ვეტერინალური საქმის სამეურნეო ნიადაგზე გადასვლის გამო, მოხდა მისი რეორგანიზაცია. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატთან ვეტერიალურ ქვეგანყოფილებას დაევალა კავშირის დაჭერა ადგილობრივ ვეტერინალურ ორგანოებთან.

# ფედერალურ საბჭოში

აგვისტოს 14 შესდგა ფედერალურ საბჭოს პლენუმის სხდომა.

განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც შეეხებოდნენ ფედერალურ საბჭოს დებულების ზოგიერთ დამატების შესახებ საგარეო პოლიტიკის გაერთიანებისა; შესახებ გაერთიანებულ კომისარიატების რწმუნებულთა ინსტიტუტისა; შესახებ რუსეთის კომპარტიის ამიერ კავკასიის ოლქო კომიტეტის ფუნქციებისა; და შესახებ ფედერალურ საბჭოს დეკრეტებისა და დადგენილებათა გამოქვეყნების წესისა.

ფედერალურ საბჭოს მიერ მიღებულ იქმნა რამოდენიმე პრინციპიალური დადგენილება, რომელიც შემდეგ იქნება გამოქვეყნებული.

შესახებ გაერთიანებულ კომისარიატების ორგანოებისა ცალკე რესპუბლიკებში გადაწყვეტილია:

1 ენკენისთვისათვის ლიკვიდაცია ყონ ცალკე რესპუბლიკებში დარჩენილ კომისარიატებს: შრომის, ფინანსებისა და ფოსტა-ტელეგრაფის. დაარსდეს მათ მაგიერ რწმუნებული სათანადო გაერთიანებული კომისარიატისა და წინადადება მიეცეს წარმოადგინონ ფედერალურ საბჭოში 1 ენკენისთვისათვის შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, მიეცეს პასუხისგებაში.

სხდომა შეუდგა აგრეთვე გაერთიანებული ფოსტა-ტელეგრაფის დებულების განხილვას, რომლის გაგრძელება გადაიდო პლენიუმის შემდეგი სხდომისათვის; (დანიშნულია ხუთშაბათს, აგვისტოს 17).

პლენუმი შეეხო აგრეთვე სატარიფო კომიტეტის საკითხს. დადგენილია: სატარიფო კომიტეტის გადაწყვეტილება ძალაში შედის ფედერალურ საბჭოს უსანქციოთ 7 დღის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში დადგენილება არ იქნება გასაჩივრებული დაინტერესებული მხარის მიერ.

# ვაჟა ფშაველას სიკვდილის შვიდი წლის თავზე

## ზოგი რამ

1883 წ. ჩავედ პეტრეს ქალაქს, ვაჟა შეველა ახალი ჩამოსული დამხვდა. თავისუფალ მსმენელად ჩარიცხულიყო უნივერსიტეტში. ხალხური პოეზია, რომელიც ვაჟა თავიდანვე ეტანებოდა, რომელიც ისე გამოჰკრთოდა მის ლექსთაგან, ქართველ სტუდენტთა წრეში ზოგიერთებს თუ მოსწონდა, ვაჟა ყურს არ ათხოვებდა და თავის ფანდურს აჟღერებდა მაინც. მაგრამ პეტრეს ქალაქი იქმნა იმ დროსვე აკვანი მისი შემოქმედების ერთი მოტივისა, რომლითაც ბუნებას — ნადირს, მცენარეს, მთას თუ ტყეს ალაპარაკებდა თავისი გულის ნადების გამოსათქმელად. სხვა და სხვაობა ბუნებისა, დიდ-პატარაობა მის დანაბადთა არა თუ უდიდესი საიდუმლოა განგების, არამედ უდიდესი სამკაულიც არის. მაგრამ კაცი რისი კაცია, თუ მეორეს თავის მსგავს არსებას მგლად არ მოევლინა და აი ამ უსამართლობას უჩიოდა ვაჟა ბუნების დანაბადთა პირით. ვაი პატარებსო, ხალხი ჭამია პოლიტიკოსები რომ გაიძახიან ურცხვად; ზოგჯერ ძმობა ერთობის ნიღაბოსნებიც ვაჟას გულს უკლავდა, როგორც პატარა ერის შვილს, და თავის ნიჭს მრავალფრად გვიხატავდა, რომ ჩაეგონებინა ქართველი მშრომელი ხალხისთვის, გაუფრთხილდი თავს, სხვა დიდმა ხალხმა არ მოგინელოს, პატარასაც აქვს უფლება თავისუფალი ცხოვრებისა. მაგრამ ასეთი მოტივისთვის მასალა ვაჟა ფშაველამ პირველად იპოვა ალფონს დოდეს ნაწერში. ერთ კვირა დილას გამოვიარე ვაჟასთან, რომელიც მაშინ ნევის პროსპექტზე იდგა ერთ პატარა ოთახში და მის უბრალო სუფრა გადაფარებულ მაგიდაზე თვალი მოვჰკარი ერთ პატარა რუსულ წიგნს სახელად «რასსკაზ კურომატკი», რომელიც იყო ალფონს დოდეს თხზულება რუსულად თარგმნილი. აი ამ კაკაბმა აალაპარაკა ვაჟას მშვლის ნუკრიც, რომელსაც მოსისხარმა მონადირემ დედა მოუკლა. მშვლის ნუკრის ნაამბობი საუცხოო არის აგრეთვე ფორმითაც. ვაჟა, როგორც პროზაიკოსი, თითქმის გაუსწორდა ილია ჭავჭავაძეს ახალი პროზის მამამთავარს და ჯერ კიდევ ობლად მყოფს. რასაკვირველია ხელოვნებისათვის კმაროდა მშვლის ნუკრის ნაამბობიც, რომელიც გვეტყოდა ვაჟას ნიჭის განვითარების ამბავს, მაგრამ ვაჟამ ამ ჟანრს უძღვნა კიდევ რამდენიმე ნაწარმოები, რომელსაც მხოლოდ სტილის ინტერესი თუ აქვს, მეტი არაფერი.

1884 წლ. გაზაფხულზე მე დავტოვე პეტრეს ქალაქი და წაველი პარიზს. ვაჟაც იყო მოწადინებული, ჩემთან ერთად წამოსულიყო, რომ ფრანგულ მწერლობას უშუალოდ დასწაფებოდა, მაგრამ ხელმოკლეობამ ნება არ მისცა.

ვაჟა-ფშაველა, როგორც პოეტი, საკვირველებაა შემოქმედებითაც, სტილითაც. მაგრამ მის თარგმნილ ორლეანელ ქალწულს აკლია, როგორც სტილის სიკეთე, ისე ქართული აზროვნობის ორიგინალობა, პირიქით, ემჩნევა უღონობა, რომ შილლერის სულთა სწრაფვა გამოხატოს ისევე ძლიერი სტილით, როგორითაც უთქვამს მთიული ლეგენდები. ვაჟა-ფშაველა რომ არ ეწეროს მთარგმნელად იმ ქართულ გამოცემას, ვერც კი ჩასთვლიდა მკითხველი მის თარგმნილად: ვაჟა მთარგმნელს ვერ შეუთვისებია ენა ვაჟა მთხზველისა.

რაც შეეხება ვაჟას პოეზიას, მისი შემოქმედება და მშობელი მთის შემოქმედება ერთმანეთში ისე დაზავებულა, რომ ძნელია დაიდვას საზღვარი მათ შორის. ვაჟას შემოქმედების დამოუკიდებლობის საკითხის გამოსარკვევად საჭიროა შეკრებილ და გამოქვეყნებულ იქნეს ფშაური ხალხური პოეზია. მრავალია ზეპირი თქმულება, მრავალია სახალხო მოშაირე, რომელიც სთხზავდა და სთხზავს დღესაც ლექსებს. მანამდე ვაჟა გამოცანად დარჩება. მე არ მაკმაყოფილებს, როგორც ახლო მდგომს, შემოქმედების ძლიერების ბეჭედი, რომელიც აზის ვაჟას პოეზიას, მე მინდა, ვიცოდე, ძლიერება იგი რამდენად მისცა ხალხის გენიამ და რამდენად მისი საკუთრება არის, როგორც ნიჭიერი შემოქმედისა. ერთ დროს მითქმა-მოთქმაც გამოიწვია ვაჟას ლეგენდებმა ისევე, როგორც მოჩხუბარიძის რომანებმა. ფშაური პოეზიის გამოქვეყნება კი ხელს გაუხსნის კრიტიკას და თავის თავადაც როგორც დიდი განძი რამ დაიდება საშვილიშვილოდ.

რევოლიუციის წინა ხანში ილიასთან ვიყავი ერთხელ, იქ იყო კიტა აბაშიძეც და სხვებიც, რომელნიც სალიტერატურო საღამოებს ესწრებოდნენ. ჩამოვარდა სიტყვა ვაჟას ნიჭზე. ყველა დაგვებერტყა, სთქვა ილიამ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედაც ნუ თუ უფრო მაღლა სდგასო, კითხა კიტამ. რა ბრძანებაა, იმაზედაც უფრო მაღალიაო, მიუგო განდეგილის ავტორმა. დიდი თავმდაბალიც არის არა თუ შემძლე, რომ დიდი იცნოს.

ვაჟა-ფშაველა ყოვლად მიუბაძველია. ვერავინ მოახერხებს მისებურად წერას, რადგანაც იგი კალმოსანი ფშაველია. როგორც [illegible] ერთმანეთს ვერ [illegible] ვით, ვერც [illegible] ლადეფ-ნაჭრევები გამოვა მიბაძვა ვაჟასადმი, ვაჟ ურად წერა. მხოლოდ ფშაველს შეუძლია ვაჟაურად წერა, სხვა ყოველი არა ფშაველი მელექსე ტყუილუბრალოდ გაირჯება. ვაჟა-ფშაველას უბედურებაც ის არის, რომ საქართველომ, მისმა თემებმა ვერ შეითვისეს იგი ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ბევრ მახლობელ ბარელსაც კი ეუცხოება იმისი ენა.

ვაჟა-ფშაველა დღესაც ცოცხალი იქმნებოდა, რომ სუსტი ხასიათის ადამიანი არ ყოფილიყო. თავის გაუფრთხილებლობით უდროვოდ დაიღუპა ისევე, როგორც დრამატურგი ასიკო ცაგარელი და კომპოზიტორი იოსებ სულხანიშვილი, მაგრამ მათი მაგალითი ცოცხალს ჭკუას ვერ ასწავლის: **გენუს ჰუმანუმ დე ნატურა იმბეცილე ესტ** — კაცის გვარი ბუნებით სუსტია.

პეტრე მირიანაშვილი.

# პროვინციის ცხოვრება

**სასურსათო გადასახადის კამპანია.** სასურსათო გადასახადის კამპანია სამხრეთ-ოსეთში ნაყოფიერად მიმდინარეობს. 14 აგვისტომდე შემოვიდა ოქონის რაიონიდან ხორბალი 410 ფუთი, ქერი 121 ფუთი, ცხინვალის რაიონიდან—ხორბალი 788 ფუთი. სულ 1319 ფუთი.

**გუდაუთის მიწათმოქმედების განყოფილებაში.** მიმდინარე წლის პირველ ნახევრის განმავლობაში გუდაუთის სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების მოღვაწეობა გამოიხატა შემდეგში: მაზრის სათესი მოედანის აღრიცხვა რომელიც იმყოფება მცხოვრებთა და ფონდის სარგებლობაში, რაც საჭირო იყო მიწების ღარიბ მცხოვრებთა შორის მიზან შეწონილად განაწილებისათვის.

მცხოვრებთათვის აგრონომიული დახმარების აღმოჩენის მიზნით მაზრის ზოგიერთ ადგილებში მოეწყო პუნქტები, რომლიდანაც მცხოვრებლებს საშუალება ქონდა უმნიშვნელო ფასებში ესარგებლა სასოფლო-სამეურნეო იარაღებით. ჩატარებულ იქნა თესვის კამპანია, ღარიბ გლეხობას ეძლეოდა ფართო დახმარება მარცვლეულობით, აგრეთვე მცხოვრებლებს ეძლეოდა საკეთილო დახმარება, რამდენადაც ამის საშუალება ქონდა საბჭოთლო განყოფილებას.

**სკოლების საქმე.** სამურზაყანოს სამაზრო აღმასკომის უკანასკნელ სხდომაზე, სახალხო განათლების განყოფილების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მაზრაში შესრულებულია შემდეგი სამუშაო: მოწყობილია სამასწავლებლო კურსები, დამტკიცებულია დროებითი დებულება სახალხო სკოლების მმართველობის შესახებ, შეკეთებულია სკოლის შენობები სამასწავლებლო კურსების მოსაწყობათ გადაიდო ასი ფუთი სიმინდი, გარდა სამასწავლებლო სასურსათო ულუფებისა. დაადგინეს ლექტორებს ყოველდღიურად მისცენ ორი გირვ. პური, ერთი გირვ. ხორცი და თვის განმავლობაში ერთი გირვ. შაქარი და ერთი მეოთხედი გირ. ჩაი.

**სოხუმის ნავთსადგურში.** 27 ივლისს, ნავთსადგურში შემოვიდა: ქობულეთიდან — ოსმალეთის იალქნიანი ფელუგა „შაინ“ უტვირთოდ და ფეოდოსიიდან ოსმალეთის იალქნიანი ფელუგა „კარადერისე“, რომელიც წავიდა მაჰაერაში, სირიიდან ოსმალეთის იალქნიანი ფელუგა „სელიამეტი“; კოდორიდან იალქნიანი ფელუგა „კარაკუში“, რომელიც წავიდა ქობულეთში უტვირთოდ.

ნავთსადგურიდან გავიდა: ფოთში — მოტორიანი კატერი „კოლხიდა“ უტვირთოდ; ტრაპიზონში — ოსმალეთის იალქნიანი ხომალდი „ტურქედი“ ფქვილის და სიმინდის სატრანზიტო ტვირთით 1600 ფუთის რაოდენობით 28 ივლისს.

შემოვიდა ნავთსადგურში: კოდორიდან—მოტორიანი—იალქნიანი ხომალდი „მალვინა“ სიმინდის ტვირთით და ოსმალეთის იალქნიანი ფელუკა „სელიამეტი“, რომელიც წავიდა ბათომში 40 ფუთ. სიმინდის ტვირთით.

**სოხუმის ნავთსადგურში.** 25 ივლისს ნავთსადგურში შემოვიდა ტუაპსედან ბათომში მიმავალი გემი „იგნატი სერგეევი“ დატვირთული მგზავრებით და 140 ფუთი ტვირთით, ბათომიდან როსტოვში მიმავალი გემი „პერეკოპი“, რომელმაც წაიყვანა მგზავრები და წაიღო 204 ფ. ტვირთი. ამავე დღეს ნავთსადგურში მოვიდა: მოტორიან-იალქნიანი ხომალდი „რეკორდი“ ბათომიდან 15 ფუთი ტვირთით და 1 მგზავრით: ოსმალეთის მოტორიან იალქნიანი ხომალდი „ტრუგუდი“ ტუაპსედან, დატვირთული 1600 ფუთი ფქვილით და სიმინდით, სოჩიდან—მოტორიანი კატერი „პობედა“ უტვირთოდ, რომელიც წავიდა ფოთში 20 ფუთი სიმინდის ტვირთით.

ბათომიდან—„მარია“ 145 ფ. ტვირთით და 3 მგზავრით; მოტორიან-იალქნიანი ხომალდი „მურჩიკა“ 1200 ფ. სხვა და სხვა ტვირთით და 4 მგზავრით.

26 ივლისს ოჩემჩირეში წავიდა ოსმალეთის იალქნიანი ხომალდი „ზუმლეჯი“ უტვირთოდ.

**ბავშვთა ჭრა-კერვის სასწავლებელი.** სათემო კომიტეტის ქალთა განყოფილების დელეგატ ქალების კრებაზე განხილულ იქნა საკითხი სოხუმში ბავშვთათვის ჭრა-კერვის სასწავლებლის გახსნის შესახებ, უმთავრესად დამშეულ ვოლგის მხრის ბავშვთათვის, რომლებიც გადმოყვანილია აქ ახალი ათონის კოლონიიდან.

ბავშვებმა, უმთავრესად 12—18 წლის მოზარდებმა, თითქმის არ იციან წერა-კითხვა და როდესაც ასეთ პროფესიონალურ სკოლას დაამთავრებენ 3 წლის განმავლობაში იქნებიან კვალიფიცირ. მკერავები. ასეთი სკოლა სოხუმში არ მოიპოება, ხოლო ეს აუცილებელია და დიდ მნიშვნელოვანი. მოხსენება ამის გახსნის შესახებ მოიწონეს და მომავალ სამოსწავლო წლიდან შეუდგებიან მის მოწყობას.

---

მაგრამ, წინააღმდეგ ჟორესის შეხედულებებისა, იყვნენ ისეთებიც, რომელნიც დიდს იმედებს ამყარებდნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაზე და მის რევოლიუციონურს როლზედ. ცნობილი პლეხანოვი ყველაზე მეტი მეხოტბე იყო ამ პარტიისა და 1914 წლამდე მასში ხედავდა ყველაზე უფრო რევოლიუციონურს ძალას. თავის წიგნში „ომის შესახებ“ პლეხანოვი სწერდა. „საერთაშორისო პროლეტარიატის არმიის ავანგარდში მიდიოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატია. ჩვენ ყველანი, სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატები, ვაფასებდით მათ წარმატებებით. ყველანი ჩვენ ვამყარებდით მათზედ ყველაზე უფრო დიდს იმედებს. ჩვენ ვთვლიდით მათ ყველაზე უფრო რევოლიუციონურ ძალად ჩვენს ისტორიულს პერიოდში“... 1914 წლის ივლისის დამლევამდე ჩვენ ვიყავით შეურყეველად დარწმუნებულნი, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია დარჩებოდა ერთგული თავისი რევოლიუციონური შეგნებისა და მოეგებოდა თანამედროვე დროში რევოლიუციონური საქმის მაქსიმუმს შესაძლებლობისას“ მაგრამ პლეხანოვს პროგნოზი არ გამართლდა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ სხვა გვარი საწინააღმდეგო პოლიტიკით იმოქმედა. როდესაც დაჰკრა რევოლიუციონური პერიოდის ჟამმა, პლეხანოვი თავისი შეგნებით მოწაფე იყო გერმანელი სოციალ-დემოკრატიისა და ამიტომ ის ვერ ხედავდა იმ დიდ საფრთხეს, რომელსაც ამზადებდა ეს პარტია თავისი ზომიერი პოლიტიკის გამო. ამ მხრივ ჟორესმა დიდი პოლიტიკური [illegible] გამოიჩინა და ორი წლით ადრე აღნიშნა ის, რაც ფაქტი შეიქმნა საერთაშორისო ომის დაწყების დროს.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჟორესი მარტო არ იყო და მთელი რიგი გერმანიის ს.-დემოკრატიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლების აღნიშნავდნენ ამ პარტიის ოპორტიუნისტულს ნიადაგზედ გადასვლას. მემარცხენენი იენის პარტეიტაგის დღეებში „ნეიე ცაიტის“ ფურცლებზედ სწერდა, რომ გერმანიის მუშათა კლასი ფრთებ-შეკრულია რევოლიუციონური აზრის საზომით. რამოდენიმედ მართალი იყო გ. ერვე, რომელმაც შტუტგარდის კონგრესზედ გალიური ირონიით გათათხნა გერმანიის დელეგაცია, რომელიც მას ეჩვენებოდა დამყაყებულ ბურჟუებად, მოკლებულს რევოლიუციონურ ბრძოლის უნარს... როგორ ცოტა გავს, მაგალითად, ჩვენი პარტეიტაგები თავიანთ ყოველდღიურ საქმეებში რევოლიუციონურს კონვენტს! ჩვენ თანდათანობით გარდავიქმენით კარგად მომუშავე, მშვენიერად მოწყობილ პარტიულ დაწესებულებად, სადაც რევოლიუციონური აღფრთოვანებისათვის ადგილი აღარ დარჩა“ პანეკუკ-ლიუქსემბურგის მიმდევრები (მემარცხენები) უფრო შავის ფერადებით ხატავდნენ გერმანიის ს.-დემოკრატიული პარტიის მდგომარეობას. მათის წარმოდგენით პარტიასა და მის წევრებში „доминирует добропорядочная годность, которая никогда не делает революции.

ამ გვარად არ არის მართალი პლეხანოვის მტკიცება, თითქოს ყველანი გერმანიის ს.-დემოკრატიას დიდის იმედებით შესცქეროდნენ; ჟორესთან ერთად გერმანიის მემარცხენე ფრთა ნათლად ხედავდა, რომ ეს პარტია, მიუხედავად თავისი სიტყვიერი რევოლიუციონიზმისა, პრაქტიკულად ჩაფლული იყო ოპორტიუნიზმის ჭაობში და პარლამენტარული რეფორმიზმის სენმა მას სავსებით წაართვა რევოლიუციონური მოქმედების საშუალება. ამას ვერ ხედავდა პლეხანოვი და სხვები, რომელნიც გონებრივი აბერაციით იყვნენ დაავადმყოფებული და პარტიის რიცხობრივი სიმრავლე უბრმავებდა მათ უნარს შეფასებისას.

ბოლოს და ბოლოს თვით პლეხანოვიც დარწმუნდა, რომ გერმანიის სოც.-დემოკრატიას არ ჰქონდა არავითარი რევოლიუციონური ძალა და ის სავსებით დასდგა ოპორტიუნიზმის ნიადაგზედ. 1914 წ. 4 აგვისტოს ნაბიჯმა, როდესაც გერმანიის პარტიამ დასტური დასცა სამხედრო კრედიტსა და ამით მთელი პასუხისმგებლობა გაინაწილა საერთაშორისო ომის, ნათელი გახადა ამ პარტიის ბუნება და მისწრაფებანი: რევოლიუციონური ფრაზეოლოგიის ნიადაგიდან იგი პრაქტიკულად დასდგა რეფორმიზმისა და სოც.-იმპერიალიზმის გზაზე და გერმანიის იმპერიალისტებთან ერთად შეუდგა საერთო ფრონტის გამაგრებას. ამ გარემოების შესახებ სწერდა პლეხანოვი 1914—იმავე წიგნში: „დღევანდელი ყოფა-ქცევა გერმანის ს.-დემოკრატიისა წარმოადგენს უდიდესს გამარჯვებას იმ ოპორტიუნიზმისას, რომელიც უკვე გასული საუკუნის დასასრულიდან შეუდგა მარქსისა და ენგელსის რევოლიუციონური მოძღვრების გადასინჯვას. „გადასინჯვა“ დაწყებულ იქმნა ამ მოძღვრების თეორიულ საფუძვლებიდან. დამთავრდა კი იქიდან (მოძღვრებიდან) გადმომდინარე პრაქტიკული რევოლიუციონური დასკვნების უარყოფით. ეს სავსებით ბუნებრივი და აუცილებელი იყო“.

თავს რომ დავანებოთ იმას, რომ ამ ბრალდების მთავარი მუხლები სავსებით შეიძლება პლეხანოვის მიმართაც წამოვაყენოთ, რადგან ოპორტიუნიზმმა და რეფორმიზმმა სავსებით დაიმონა იგიც, უნდა ავღნიშნოთ, რომ ავტორის დებულება მართალი და სწორი არის გერმანიის სოც.-დემოკრატიის მიმართ.

პოლიტიკურ კონსტრუქციებში დაწყებულმა რევიზიონიზმმა უდიდესი პრაქტიკული გამარჯვებები მოიპოვა გერმანიის სოც.-დემოკრატიაში და ბოლოს და ბოლოს პარტიის ცენტრალურ ორგანიზაციებიდან განდევნა იქ გაბატონებული ცენტრი. ეს ფაქტია, რომლის უარყოფა შეუძლებელია და რომელიც შეიქმნა შედეგი სწორედ იმ პოლიტიკისა, გერმანიის პარტიის მაშინდელი უმრავლესობა რომ ატარებდა.

ამ გვარად პირველი თავის მოხრა ოპორტიუნისტების წინაშე ცენტრისტებისა, ახლანდელი დამოუკიდებლების, ამ რამდენიმე წლის წინად მოხდა. ეს იყო არა წესი ხანგრძლივი მოღვაწეობისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის ცენტრალისტების მხრით. მიუხედავად იმისა, რომ მთელი პარტიის ორგანიზაციები, პრესა, პროფკავშირები, საუკეთესო ხელმძღვანელები მათ მხარეზე იყო, მრავალი წლის განმავლობაში ყველა პარტეიტაგებსა და კონგრესებზედ სასტიკად ამარცხებდნენ ისინი რეფორმისტებს, ბოლოს პრაქტიკული გამარჯვება უკანასკნელთ ხვდა და ცენტრისტები გარიყულნი დარჩნენ პარტიიდან.

რით უნდა აიხსნეს ასეთი ტრანსფორმაცია გერმანიის სოც.-დემოკრატიისა, სად არის მიზეზი ასეთი დიდი და უაღრესად მდიდარი იდეური [illegible] მქონე პარტიის გარდაქმნისა და მათი რადიკალიზმის ნიადაგიდან წმინდა წყლის რეფორმიზმისა და ოპორტიუნიზმის შეგნებაზე გადასვლის?

ხათონ ხუნდაძე.

(შემდეგი იქნება).

## სამხატვრო ქრონიკა

**ტერენტი გრანელის საღამო.** კვირას 20 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება პოეტ ტერენტი გრანელის საღამო.

სიტყვა: ტიციან ტაბიძის „უახლოესი პოეზია".

ლექსები: ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, გრ. ცეცხლაძე, გრ. ზოდელი, ს. ერთაწმინდელი, გობრონ აგარელი, ვიქტორ გაბესკირი, რაჟდ გოგოხია.

ტერენტი გრანელი წაიკითხავს ახალ პოემას „სიკვდილის შემდეგ".

## მოწერილი ამბები

**დ. ჩოხატაური.** გურიის სოფლები დღეს საშინელ კრიზისს განიცდიან უსურსათობის გამო. თვითეულ სოფელში შეიძლება სამი ან ოთხი ოჯახი იყვეს ამ მხრივ უზრუნველყოფილი, ხოლო ხშირია ისეთი ოჯახიც, რომელსაც სიმინდის შესაძენად ყველაფერი გაუყიდია, რაც კი მოეპოებოდა და რომელიც დღეს მოხარშული ხილით იკვებება.

დღეს დამშეულა თითქმის მთელი გურია, მაგრამ უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება გურიის აღმოსავლეთი ნაწილი, მეტადრე კი ჩოხატაურის რაიონი. ამ რაიონში გას ყიდ სიმინდს, რომელიც 400,000 მანეთი ფასობს, ვერ იშოვით. გურიის რევოლიუციონურ გლეხობას უდიდესი გასაჭირი ადგია დღეს კარზე და საჭიროა მთავრობამ მიაქციოს ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება, თორემ შემდეგ გვიანი იქნება!..

გურიის გლეხობას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სულიერი სიმშვიდე; ის ჯერ სულგრძელობას იჩენს...

სოფლის კულტურა ვერ არის იმ წერტილზე ასული, რომელზედაც უნდა იყვეს, მაგრამ წინსვლა ეტყობა.

სოფლებში და მასთან ერთად დაბა ჩოხატაურშიაც სისტემატიურად იდგმება წარმოდგენები სხვა და სხვა კულტურულ საქმეების სასარგებლოდ.

შესანიშნავი იყო ჩოხატაურის თეატრი ამ რამოდენიმე თვის წინად დაუღალავი სცენის მოყვარეების წყალობით, როგორიც იყვნენ ამ თეატრისათვის ქეთო სხვიტაშვილი, ნიკო გურული, ს. ბოლქვაძე, ბეღია ყაჭეიშვილი, ეფრა ძნელაძე, გ. სიხარულიძე და სხვები.

აქ ხშირად იდგმებოდა—თითქმის უნაკლოთაც—ისეთი პიესა, რომლის დადგმაც ზოგიერთ დამსახურებულ მსახიობისათვის საძნელო საქმეს წარმოადგენს. დღეს კი წინანდელთან შედარებით ეს თეატრი მოისუსტებს, რადგან ზემო ჩამოთვლილ შესანიშნავ სცენის მოყვარეებიდან აქ დარჩენილა მხოლოდ ნ. გურული, რომელიც აქვე არსებულ დრამატიულ წრის რეჟისორია და რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ირგვლივ მდებარე სოფლების თეატრის ადდგენაში. ამ მხრით დაუფასებელია ამ ძვირფასი ადამიანის შრომა...

ცუდ პირობებშია აქაური სამკითხველო. გაზეთები ძალიან იგვიანებენ. „ტრიბუნას" შეიძლება თვეში ერთხელ მოკრა თვალი და ვერ გამიგია თუ რა დააშავა იმ პარტიის გაზეთმა, რომელ პარტიასაც უყვარს კაკლუცი სამშობლო და რომელიც თავგანწირულად იცავს რუსეთის დიდ რევოლიუციას!..

—

**ხიდ. ამაღლება.** ეს სოფელი ჩოხატაურიდან დასავლეთით მდებარეობს, ოთხი ვერსის მანძილზე. ამაღლებასაც ისეთივე ბედი ერგო, როგორიც სხვა სოფლებს აღმოსავლეთი გურიისას. აქ ისეთი სახით მეფობს სიმშილი და იმ დონეზე სდგას კულტურა, როგორც სხვა სოფლებში.

ღმასკომის თავმჯდომარე, რომელსაც აქ არ დავასახელებ, ძალიან ცუდათ ირჯება; ყველას, ვინც კი კომუნისტის სახელს დაირქმევს იარაღის ტარების ნებას აძლევს, თუ გინდ ხუთმეტი წლის ბავშვი იყვეს იგი. ამის გამო ამაღლება ყოველ დღე ბრძოლის ველს წარმოადგენს, ისე გახშირებულია სროლა. ეს ს'ეკბატონები იმუქრებიან და კერძო საქმეებზედაც იარაღს ხმარობენ. კაცის უმიზეზოდ დაჭრისათვის მათ პასუხს არავინ სთხოვს და არც იარაღს ართმევენ. ნუ თუ სოციალისტურ საქართველოში ასეთი უპასუხისმგებლობა უნდა არსებობდეს!?

**კულტურული მუშაობა**—თუ კი ასეთ მდგომარეობას კულტურა უშველის—შედარებით წინანდელზე კარგად მიმდინარეობს. ამ ჟამად დაწყებულია მუშაობა დ. ჩოხატაურთან ელსმენით (ტელეფონით) შეერთებისათვის.

ეს-მენშევიკებმაც განიზრახეს, მაგრამ განზრახვა განზრახვად დარჩა და საქმე კი გაუკეთებელი.

ენერგიით დაუშრეტელი აქაური ახალგაზრდები, რომლებსაც საზოგადოების შეგნებული ელემენტები დიდ დახმარებას უწევენ, ხშირად და თითქმის სისტემატიურად დგამენ წარმოდგენებს; მაგრამ მათი დამფასებელი არავინ არის. კომუნისტმა პოლიკარპე ფილიპეს ძე დოლიძემ, რომელიც იბარებდა წარმოდგენების შემოსავალს (თითქმის ყველა წარმოდგენებისას, რაც კი გამართულ იქნა ამ სეზონში სხვა და სხვა კულტურულ საქმეების სასარგებლოდ—ფულს რას უშვრებოდა ალახმა უწყის) ახალგაზრდათა დრამატიული წრის წევრები ერთი წარმოდგენის შემდეგ რუსული ლანძღვა-გინებით, რომელსაც შეგნება არ მოეგვთხოვს აქ გაევიგეროოთ—გაისტუმრა სახლებისაკენ...

ბევრ შეგნებულ კომუნისტებს ადელვებს მისი საქციელი და დღეს მეც მომეცა საშვალება, რომ ნათელი წარმოდგენა იქონიონ ამ ვაჟბატონზე, რომელიც ნილაბ ქვეშ მოქმედობს და მშრომელი ხალხის სახელით ლაპარაკობს...

ბევრი რამ მინდა ამ წერილით ვსთქვა, მაგრამ თევზისა არ იყოს პირი წყლით მაქვს სავსე, მხოლოდ ვიტყვი: უპასუხისმგებლობას ბოლო უნდა მოეღოს.

დ. იგანიშვილი.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება № 43

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.**

ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა შემოსავლისა, ხარჯებისა, აღრიცხვისა და ანგარიშების დებულების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა შემოსავლისა, ხარჯებისა, აღრიცხვისა და ანგარიშის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**მუხ. 73.**

**შენიშვნა** ამ მუხლისა შეიცვალოს ასე:

შენიშვნა 1: ადგილობრივი საბჭოებისათვის გადასაცემ თანხების ვადას და წესს ამტკიცებს ფინანსთა სახალხო კომისარი, მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით.

ამავე მუხლს დაერთოს შემდეგი შენიშვნა:

შენიშვნა 2: ადგილობრივი საბჭოებისათვის თანხების გადარიცხვა რა ვრცელდება 1921 წ. პირდაპირ შე[...] დაპირ მემორანდუმზე გავრცელდება 1922 [...]

მუხ. 77 შეიცვალოს ასე:

77. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ვალდებულია გაანაწილოს მაზრასა, ქალაქებსა და თემების საბჭოთა შორის ამა დებულების 73 მუხლში აღნიშნული, პირდაპირ გადასახადიდან და სააქციზო ბაჟებიდან გადარიცხული თანხა პროპორციონალურად, მათი აღრიცხვების მიხედვით; დანარჩენი გადასახადი და ბაჟი კი უნდა შედიოდეს საბჭოთა სალაროში აღრიცხვით ანგარიშით.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აგვისტოს 12.

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

## განცხადება.

## ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილება

აცხადებს საყურადღებოდ წყალსადენის აბონენტებისა (სახლის მეპატრონეთა, მათ მოადგილეთა, კომენდანტებისა და კოლექტივებისა), რომ მათ

**ნება ეძლევათ გაასწორებინონ** წყალსაზომი კერძო სახელოსნოებში თავის ხარჯზედ შემდეგი პირობათა დაცვით:

1. აბონენტს შემოაქვს წყალსადენის კანცელარიაში განცხადება, რომ მას სურს თავის ხარჯით გაასწორებინოს წყალსაზომი.
2. იხდის წყალსადენის კასაში მასალის და მუშაობის საფასურს ტარიფის მიხედვით, რაც დასჭირდება სახლის შეერთებას მოხსნილი წყალსაზომის ნაცვლად.
3. წყალსადენის სახელოსნო დანიშნულ დღეს თვითონ ხსნის აბონენტის წყალსაზომს და აბარებს მასვე ხელწერილის ქვეშ სახელოსნოს საწყობში.
4. შეკეთების შემდეგ, დანიშნულ დროს წყალსაზომი უნდა მოიტანონ სახელოსნოში საბოლოოდ შესამოწმებლად.
5. თუ წყალსადენი აღმოჩნდა სრულიად გასწორებული, მას შეამოწმებენ და დასდგამენ უფასოდ გარდა მუშაობის ღირებულებისა მე 2 პუნქტის თანახმად. და თუ გაუსწორებელი აღმოჩნდა, უნდა გადაიხადონ წყალსადენის კასაში წყალსაზომის შესწორებისა და დადგმის საფასური.
6. შემოწმება ამ წყალსაზომებისა ხდება აუცილებლად წყალსადენისა და აბონენტის წარმომადგენელთა თანადასწრებით.
7. წყლის ანგარიში წარმოებულ იქნება აუცილებლად ამ წყალსაზომების საშვალებით, მისი შემოწმებისა და დადგმის შემდეგ.

კომუნალური განყოფილების გამგე **ბაქრაძე.**

## განცხადება

ქალ. თბილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო აცხადებს, რომ ხუთშაბათს 17 აგვისტოს, დღის 12 საათზე აღმასკომის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შემდეგ აბანოებზე:

| | | |
|---|---|---|
| 1. | აბანო აბრამაშვილისა | ვერის დაღმართი |
| 2. | „ ანანოვის | ფრეიროვის და მალაკნის ქ. |
| 3. | „ ედიგაროვის | ვარანცოვის ქ. |
| 4. | „ კარაჯევის | ფრეიროვის ქ. № 5. |
| 5. | „ ჩითახოვის | კახეთის ქ. № 5. |
| 6. | „ ნორსია | 19 თებერვლის ქ. |
| 7. | „ მურსაგულოვისა | სუპსარქისის შეს. |
| 8. | „ ფანტაზია | ვორონცოვის ქ. |

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში, მე-50 ოთახი საიჯარო მაგიდის გამგესთან.

№ 7. 4—4

ყველა დაწესებულებათა და მოქალაქეთა

## საყურადღებოთ

კომუნალურ მეურნეობის სამდგილ-მამულო განყოფილება ჰყიდ შეშას სტენებიდან და ბაღებიდან (მანთაშევის ყოფ. ბაღი ორთაჭალაში და სიხარულიძის ყოფ. ბაღი საბურთალოში) ჰინახულის გაყიდვას.

ჰინახულის ფასები შედარებით ბაზრის საბითუმო ფასებთან ხუთიდან პროც. ნაკლებია (ცნობა სტატისტიკურ განყოფილების.

სამდგილ-მამულო განყოფილებასთან ხელშეკრულებით შეთანხმებაში [...]ლითათვის . . . . . გადახდის სავაჭრო სისტემა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება განყოფილებაში 10—4 საათამდის, ოთახი № 52.

სამდგილ-მამულო განყოფილება. № 8.

3—3

ს. ს. ს. რ. ფინანსთა კომისარიატის

## დიდი ლატარია

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ

| | | |
|---|---|---|
| პირველი მოგება | . . . . | 500 მილიონი |
| მეორე „ | . . . . | 100 „ |
| მესამე „ | . . . . | 50 „ და სხ. |

ქართული ბონებით.

ბილეთი ღირს მხოლოდ 100.000 მან.

კუპონი „ „ 25.000 „

ხვედრ მოგების მიღება 48 საათში.

გათამაშება მოხდება თბილისში დეკემბრის 10-ს ა. წ.

**მოგებათა დასაფარავად გადადებულია 1,200,000 მან.**

ბილეთების შეძენა შეიძლება: ყველა ბანკებში, კავშირებში, კლუბებში, ყველა საკრედიტო, კოოპერატიულ და სხვა დაწესებულებებში.

ლატარიის მომწყობი კომისია

კრ. 149 0—1